ოქმი:ო31. 3123335001
თარიღი:01/12/2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის ოქმი N15.

ქ. ლანჩხუთი

23. 03. 2023 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ნანა წილოსანი.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე თორნიკე ტიკაძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი პაატა ურუშაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს

სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი პაატა ურუშაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი თორნიკე ტიკაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

/თანამომხსენებელი როლანდ ლაშხია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვერიკო კვირკველია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28

მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ვარდენ კვაჭაძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

9. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 21 წევრი.

მომხრე საკრებულოს 21 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტის მომზადება განპირობებულია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 2023 წლის 12 სექტემბრის NGOV 2 23 00026382 წერილის საფუძველზე. მთავრობის იურიდიული დეპარტამენტის მიერ, განხორციელებული სამართლებრივი ზედამხედველობის ფარგლებში, ,,საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N17 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზისას გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მიერ

მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან დადგენილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტიც, რომლის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N20 (27.11.2023).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 აგვისტოს N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **პაატა ურუშაძემ.** მან აღნიშნა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების ცვლილების პროექტის მომზადება განპირობებულია, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურს მოხსენებითი ბარათის საფუძველზე. სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საკრებულოს, 2023 წლის 24 აგვისტოს №16 დადგენილებით დაზუსტდეს წარმატებული პედაგოგის განმარტება და ფულადი ჯილდოს მიღების მიზნით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მედალოსნების, ერთიან ეროვნულ და სამაგისტრო გამოცდებზე ასპროცენტიანი გრანტის მფლობელი წარმატებული ახალგაზრდების მიერ განაცხადის შემოტანის პერიოდი. ასევე განისაზღვროს, ფულადი ჯილდოს ოდენობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო, კერძო და სახელოვნებო სკოლებში გამოვლენილი წლის საუკეთესო მასწავლებლისათვის. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს ნორმატიული აქტის ცვლილების პროექტი, ვინაიდან დადგენილების მისაღებად საკრებულომ უნდა დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი, რომლის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N71(27.11.2023).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **თორნიკე ტიკაძემ.** მან განმარტა, რომ კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად ევროკავშირმა შეიმუშავა ინიციატივა — მერების შეთანხმება. ინიციატივა წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნის ადგილობრივი თვითმმართველობების ნებაყოფლობით გაერთიანებას და ორიენტირებულია კლიმატის ცვლილების შერბილებაზე, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტირებასა და მდგრადი, საიმედო და ხელმისაწვდომი ენერგიის წვდომაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აღნიშნულ ინიციატივას 2017 წელს შეუერთდა, შეიმუშავა მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა, რითაც განსაზღვრა კლიმატის ცვლილების დასაძლევად 2030 წლამდე განსახორციელებელი ადგილობრივი აქტივობები. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ 2030 წლამდე პერიოდში, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დაგეგმილი ყველა აქტივობა. გეგმის მიზანია სათბურის აირების ემისიებისა და ენერგიის მოხმარების შემცირება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. სამოქმედო გეგმა, პირველ რიგში, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების ენერგოეფექტურობის გაზრდას. ამასთან, ითვალისწინებს ღონისძიებებს არამუნიციპალური სექტორებისთვისაც.

სხდომას შემოუერთდა საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე.**

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ ეს პროექტი კარგი იქნება სამომავლოდ და არა ახლა, რადგან პროექტის მიხედვით, ექსპლუატაციაში შესვლისას ახლად აშენებული სახლები უნდა აკმაყოფილებდეს მოთხოვნებს- კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული გამოწვევების დასაძლევად, რაც სტიქიის შედეგად დაზარალებული ადამიანებისთვის ზედმეტ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი კომპენსაცია არ იქნება საკმარისი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ სტიქიის შედეგად დაზარალებულ ადამიანებს არ მოუწევთ არანაირი ზედმეტი თანხის გადახდა, რადგან სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი კომპენსაცია გადაეცემათ უკვე აშენებული სახლების შესაძენად და არა მშენებლობისთვის, ხოლო თუ გადაწყდება მათთვის სახლის აშენება, ამას გააკეთებს სახელმწიფო და შემდგომ გადასცემს ბენეფიციარს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 1 წევრმა(ჯუმბერ ბლაგიძე).
მიღებულ იქნა განკარგულება N72(27.11.2023).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი განხილული იქნა საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებში, მოეწყო საჯარო განხილვა და გამოთქმული შენიშვნებითა და წინადადებებით დაბრუნდა უკან. აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება და

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ შესწორებული ვარიანტი წარმოდგენილი იქნება დადგენილ ვადებსა და ნორმებში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N73(27.11.2023).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **ვერიკო კვირკველიამ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 29 სექტემბრის N30 დადგენილების (ვებგვერდი, 02/10/2017 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.112.016312) მეორე მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება“-ში შევიდეს ცვლილება და მე-3 მუხლს დაემატოს მე-3^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„3^1-საბჭოს წევრის მიერ სხდომის ზედიზედ ორჯერ არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობის შემთხვევაში წევრს, საბჭოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით შეუწყდება საბჭოს წევრობის უფლებამოსილება.“

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N74(27.11.2023).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და გეგმიდან ამოღებულ იქნას მერიის აუქციონატორის მიერ, პრივატიზებული ქონება, კერძოდ სოფელ ჩიბათში (ს/კ 27.09.50.281) საკადასტრო კოდზე არსებული უძრავი ქონება და ავტომანქანები. (ავტომობილი SKODA OCTAVIA - სახელმწიფო ნომრით AA-896- და ავტომობილი CHEVROLET LACETTI - სახელმწიფო ნომრით FF-434-FG ასევე მიზანშეწონილია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მოთხოვნით შეფასებული

მუნიციპალური ქონება, (ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 31 ოქტომბრის N007695423 დასკვნა) კერძოდ ნიგვზიანის ადმინისტრაციულ ერთეულის საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი სამშენებლო მასალა, შემდგომში განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოგიდგენთ, „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტს განსახილველად და დასამტკიცებლად. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას და გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N75(27.11.2023).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომა გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წელს, წერილობით მომართა, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ (ს/კ 433650462), დირექტორმა ზაალ სანაძემ, რომელმაც აიპის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, (გოგონათა ასაკობრივი საფეხბურთო გუნდის სავარჯიშოდ) მისი არსებობის ვადით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მუსხელიშვილის ქუჩა N15 ა-ში მდებარე 6920.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 27.06.57.191) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით გადაცემა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ განიხილოთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და მოგვცეთ თანხმობა. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N76(27.11.2023).

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 29 სექტემბრის N1740 განკარგულებით სტიქიის შედეგად განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოიყო 150000 ლარი (სექტემბრის თვეში განვითარებული სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის სასტუმროში გადაყვანისა და სასტუმროს ხარჯების დაფინანსებისათვის) და სტიქიის ზონაში მომუშავე სპეციალიზებული ტექნიკის მომსახურების ხარჯების დაფინანსების მიზნით გამოიყო 550000 ლარი. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებით შემცირდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება 12507 ლარი, მათ შორის ცენტრალური ბიუჯეტი 11882 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსება- 625 ლარი. აღნიშნული ღონისძიებების ბიუჯეტში ასახვის მიზნით მიზანშეწონილია დაიწყოს ბიუჯეტის ცვლილებაზე ადმინისტრაციული წარმოება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.
მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N77(27.11.2023).

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ სტიქიის შემთხვევების მატებასთან ერთად გაჩნდა ახალი დაზიანების კერები და დამძიმდა უკვე არსებულის მდგომარეობა, რის გამოც საჭიროა გეოლოგების ჩამოყვანა.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა შემდეგი საკითხებით:

ა) შესაძლებელია თუ არა ქირავნობის პროგრამით ისარგებლოს ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზარალებულმა ოჯახმა, რომელიც დროებით ახლობელთან ცხოვრობდა, ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში იპოვა საცხოვრებელი სახლი, სადაც სურს გადასვლა;

ბ) როდის მიიღებს დაზარალებული მოსახლეობა მთავრობის მიერ გამოყოფილ კომპენსაციის თანხას;

გ) როგორ უნდა მოიქცეს საკუთარი ძაღლის მიერ დაკბენილი მოქალაქე;

დ) იქნება თუ არა შესაძლებელი ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები სიმსივნით დაავადებული ბენეფიციარისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა და ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები, ცელიაკიით დაავადებული პატარა მარიამის თურქეთში, ექიმთან კონტროლზე ვიზიტის თანხით დაფინანსება.

ე) შესაძლებელია თუ არა 2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს ცელიაკიით დაავადებული ბენეფიციარებისთვის გამოყოფილი თანხის გაზრდა, რადგან მათთვის საჭირო სპეციალური პროდუქტების თვითღირებულება ისე გაიზარდა, რომ მათ შესაძენად გამოყოფილი თანხა არ არის საკმარისი.

საკრებულოს წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს სტიქიით დაზარალებული ოჯახებისთვის დასახმარებლად ცენტრალურ ხელისუფლებასთან აქტიური თანამშრომლობისთვის. მან აღნიშნა, რომ ქალაქში საკმაოდ მომრავლებულია მაწანწალა ძაღლები და ხომ არ იქნება უპრიანი, რომ გურიის სამივე მუნიციპალიტეტი გაერთიანდეს და გაკეთდეს ძაღლების დიდი თავშესაფარი.

საკრებულოს წევრი **ჯუმბერ ბლაგიძე** დაინტერესდა, ახალ წლამდე ჩაერიცხება თუ არა კომპენსაციის თანხა სტიქიის შედეგად დაზარებულ მოსახლეობას და როდის გაიხსნება სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში ახლად აშენებული ბაღი. მან ასევე აღნიშნა, რომ ფრაქციამ ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ წერილობით მიმართა მერს გარკვეული ინფორმაციის მიწოდების შესახებ, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიუღიათ.

საკრებულოს წევრი **ირმა მგელაძე** დაინტერესდა, რატომ ვერ მოხდა ამ დრომდე სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში ახლად აშენებული ბაღის გახსნა და რატომ არ მოხდა ახალსოფლის ბაღის შენარჩუნება მაშინ, როცა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი შეჭირვებულია და ბავშვების სუფსაში ტარება ხარჯებთან არის დაკავშირებული.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარემ **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრში, სკვერის მიმდებარედ შშმ პირთათვის მოსაწყობია საპარკინგე ადგილი. ასევე, რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს მელიორაციის სამსახურის მიერ მდინარე ლაშისღელის კალაპოტის გაწმენდა.

საკრებულოს წევრმა **კარლო წილოსანმა** გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, თუ გამოიყოფა ფასიანი ადგილი, სადაც კერძო ან იურიდიულ პირს შეეძლება სამშენებლო სამუშაოების ან დემონტაჟის შედეგად დარჩენილი მასალის განთავსება.

საკრებულოს წევრი **გოჩა ჯანაშია** დაინტერესდა, გადმოეცემა თუ არა ფეხბურთის ფედერაციის მიერ დაპირებული 100000 ლარი საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურიას“.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ** სოფელ გვიმბალაურის ახალგაზრდების სახელით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რათა სამომავლოდ გაითვალისწინონ მათი თხოვნა, გვიმბალაურში საფეხბურთო მოედნის მოწყობის შესახებ.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე** დაინტერესდა, გრძელდება თუ არა ნიგოითის საჯარო სკოლის დემონტაჟი. მან ასევე ითხოვა, მელიორაციის სამსახურის მიერ გაწმენდილი იქნას სანიაღვრე არხი სოფელ ჩოლობარგში იმედა თაბაგარის საკარმიდამო ნაკვეთის მიმდებარედ და სოფელ შუხუთში სამივე ცენტრალური ღელის კალაპოტი, რომლებიც უხვი ნალექის შემთხვევაში ტბორავენ საკარმიდამო ნაკვეთებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებზე გააკეთა შემდეგი სახის განმარტებები:

1. მიმდინარე წლის 8 სექტემბრის სტიქიის შემდეგ ჩამოსული გეოლოგები, მასშტაბური სამუშაოებისა და ამ კუთხით გაზრდილი მოთხოვნილებების გამო,

ისევ მუნიციპალიტეტში იმყოფებიან და აგრძელებენ სამუშაოებს, როგორც ძველი, ასევე ახალი კერების შესასწავლად.

2. სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახები სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი იქნებიან ქირავნობის თანხით მანამ, სანამ არ იქნებიან ჩასმული სახლების შესყიდვის პროგრამაში.

3. სტიქიის შედეგად დაზარალებულმა ოჯახებმა უნდა წარადგინონ სრულყოფილი, მოწესრიგებული შესაბამისი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც 10-12 დღეში ჩაერიცხებათ კომპენსაციის თანხა.

4. საკუთარი ძაღლის მიერ პატრონის დაკბენის შემთხვევაში, დაზარალებულს შეუძლია დარეკოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის სპეციალურ სამსახურში და ისინი გარკვეული თანხის სანაცვლოდ წაიყვანენ ამ ძაღლს.

5. არსებული პროგრამით ვერ ხერხდება სიმსივნით დაავადებული ბენეფიციარის საჭიროების სრულად დაფინანსება, ამიტომ ეს საკითხი კიდევ ერთხელ, ერთობლივად უნდა გადაიხედოს და გამოსავალი მოიძებნოს.

6. ცელიაკიით დაავადებული პატარა მარიამს აუცილებლად დაეხმარებიან შესაძლებლობის ფარგლებში.

7. მაწანწალა ძაღლების პრობლემა იმდენად აქტუალურია და დიდ თანხებთან არის დაკავშირებული, რომ მისი გადაჭრა უნდა მოხდეს საპარლამენტო დონეზე და ის იმედოვნებს, რომ ეტაპობრივად ამას შეძლებენ. დაწესდება ჯარიმები უპასუხისმგებლო მეპატრონეებზე, რომლებიც საკუთარ ძაღლებზე არასათანადოდ ზრუნავენ და ბოლოს ქუჩაში აგდებენ. მოხდება მათი აღრიცხვა(დაბირკვა), კასტრაცია და გატარდება სხვადასხვა ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს პრობლემის მოგვარებას.

8. რაც შეეხება ფრაქციებიდან და კომისიებიდან გამოგზავნილ შეკითხვებს, ის მაქსიმალურად ცდილობს არ დააგვიანოს პასუხი და ამჯერადაც ასე იქნება.

9. სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში საბავშვო ბაღის მშენებლობა უკვე დასრულებულია, უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე, ელოდებიან სამხარაულის სასამართლო ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნას და დადებითი პასუხის შემდეგ მოხდება ბაღის გახსნა.

10. კონტინგენტის უკმარისობის გამო ვერ მოხდა ახალსოფლის საბავშვო ბაღის შენარჩუნება, ამიტომ შეუერთდა სუფსის საბავშვო ბაღს.

11. მელიორაციის სამსახური ღელის კალაპოტების გაწმენდით სამუშაოებს აწარმოებს ეტაპობრივად, გრაფიკის მიხედვით. ლაშისღელის კალაპოტის გაწმენდა დაწყებულია და წლის ბოლომდე დასრულდება, ხოლო ორაგვისღელის გაწმენდა 2024 წელს მოხდება.

12. შშმ პირებისთვის პარკინგის მოსაწყობის მიზნით იყო შეხვედრები გარკვეულ კომპანიებთან, გამოცხადდება ტენდერი და ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

13. მოსაზრება იმის შესახებ, რომ გამოიყოს ფასიანი ადგილი, სადაც კერძო ან იურიდიულ პირს შეეძლება სამშენებლო სამუშაოების ან დემონტაჟის შედეგად დარჩენილი მასალების განთავსება, მისასალმებელია და საკითხის მოსაგვარებლად საკრებულომ უნდა იმუშაოს მერიის შესაბამის სამსახურებთან.

14. საფეხბურთო კლუბ ,,ლანჩხუთის გურიას“ ირგვლივ უამრავი პრობლემაა, მაგრამ სახელმწიფო რწმუნებულების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ქალბატონ თეა წულუკიანის და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით ისინი თანდათან გვარდება. ყველა ვალდებულება, (ფეხბურთელების, სასტუმროების, კვების, ფედერაციის, სახელმწიფოს), რაც 2023 წლის ბოლომდე შეიძლებოდა ჰქონოდა კლუბს, არ დარჩება მოუგვარებელი. სამომავლოდ საჭიროა პროცესების მართებულად

წარმართვა, სწორი მენეჯმენტი, თანხების მიზანმიმართულად განკარგვა და ა.შ. ჯერ-ჯერობით რჩება მხოლოდ ძველი ვალდებულებები: წლების წინანდელი ფედერაციის წინაშე, სახელმწიფოს- საშემოსავლო, რომელიც დამალული ჰქონდა სპონსორს და ამაზე მიმდინარეობს სასამართლო პროცესი. იმ კომპანიებს, რომლებმაც ჩარიცხეს თანხა კლუბის ანგარიშზე, რვა დეკემბრამდე აქვთ ვადა, წარმოადგინონ ხელშეკრულებები იმის თაობაზე, რომ თანხები მათი მხრიდან ჩარიცხული იყო სპონსორობისთვის, მაგრამ არის მოსაზრება, რომ ხელშეკრულებების წარმოდგენა არ უნდა იყოს სავალდებულო, რადგან თანხები საქველმოქმედოდ არის ჩარიცხული. მუნიციპალიტეტის მერი იმედოვნებს, რომ საფეხბურთო კლუბი ,,ლანჩხუთის გურია“ ასი წლის იუბილეს ღირსეულად შეხვდება.

15. ნიგოითის საჯარო სკოლის დემონტაჟი მიმდინარეობს და გაგრძელდება სამუშაოების დასრულებამდე.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

27 ნოემბერი 2023 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 55	
2	ემზარ თევდორაძე	11 55	
3	ვერიკო კვირკველია	11 35	
4	გიორგი ჩახვაძე	11 45	
5	გიორგი ხელაძე	11 00	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 05	
7	ზაზა წულაძე	11 45	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 55	
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა		
12	მაკა მშვიდობაძე	11:45	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 00	
14	კარლო წილოსანი	11 58	
15	ლოლიტა ურუშაძე	11 55	
16	ნინო მშვიდობაძე	12:00	
17	გოგი მორჩილაძე	11 45	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-57	
19	გიორგი გოგუაძე		
20	გოჩა ჯანაშია	11 55	
21	ელისო ჭიჭინაძე	11 50	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 52	
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე	11 45	
25	ირმა მგელაძე	11 35	
26	გივი ცინცაძე	11 00	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11 45	